# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 92

29 07 2016 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ ი.მ "ხატია მჭედლიშვილი" /შემდგომში მიმწოდებელი/ ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1** ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს ქალაქ მცხეთის საფეხბურთო სკოლის სტადიონისთვის ქსოვილის ბადეების შეძენა-მიწოდება თანხით **150 ლარი.**

1.2 CPV კოდი 39541200-150ლარი

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან ----- 10------დღის ვადაში
**ხელ**შეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **150 (ასორმოცდაათი)ლარი.**

**ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

2.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და **ანგარიშ-ფაქტურის** საფუძველზე.
2.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ **ხელმოწერიდან** 10 კალენდარული დღის განმავლობაში

## 3. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:
შ. არჯევანიძე, ნ.იაშვილი
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ **ვადებში.**

## 5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 **ხელ**შეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს გაერთიანების ადმინისტრაციული მართვისა და მონიტორინგის სპეციალისტი ნათია იაშვილი.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ
8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### ი. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 9. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება , დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 10 სექტემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

### 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036362
მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
მის: მცხეთა, შამუღლაშვილის ქ. №12
ტელ: 2 51 25 69

დირექტორი
შ. არჯევანიძე
_______________

**მიმწოდებელი**

ი.მ "ხატია მჭედლიშვილი"
ს/კ 24001044420
სს ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE33LBO112111045731000
მის: დ. აღმაშენებლის ქ.№93
ტელ: 551 105 111

ი.მ "ხატია მჭედლიშვილი"
ხ. მჭედლიშვილი
_______________

ხელწერილი ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ

29.07.16წ

ა(ა)იპ ქ. მცხეთის მონიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე და ი.მ "ხატია მჭედლიშვილი" ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში. ჩვენს მიერ საქონლის შეძენა-მიწოდება (**CPV** კოდი–39541200) არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011. 07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

გაერთიანების დირექტორი: /შ. არჯევანიძე/

ი.მ "ხატია მჭედლიშვილი" /ხ. მჭედლიშვილი/